ისტორიული მუზეუმი წარმოადგენს სამეცნიერო (საგანმამათლებლო) კვლევით ცენტრს, რომლის ძირითადი დანიშნულებაა ქედის მუნიციპალიტეტში არსებული მატერიალური კულტურისა და ისტორიული ძეგლების აღრიცხვა, მოვლა-პატრონობა (შესაძლებლობისა და კანონმდებლობის ფარგლებში) და მათი პოპულარიზაცია რეგიონულ და საერთაშორისო არენაზე.

შესაბამისად გაცნობებთ რომ ჩვენს მუნიციპალიტეტში უკვე 44 სტატუსიანი ძეგლი გვაქვს და მომლოდინე კი ოცდაატზე მეტია რომლის აღიარებაც ხდება ეტაპობრივად ჩვენს მიერ მიწოდებული მასალების საფუძველზე.

მუზეუმი დაფუძნებიდან (1999 წ) დღემდე აქტიურადაა ჩართულია ზემო აღნიშნულ საქმიანობაში. 2025 წელს მივიღე მონაწილეობა ორ საერთაშორისო კონფერენციაში - „ჩვენი სულიერების ბალავარი IV“, სადაც წარვადგინე და ფართო საზოგადოებას გავაცანი (სადაც მონაწილეობას ღებულობდა 7 ქვეყნის წარმომადგენლობა) ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ქრისტიანული სალოცავები, უძველესი დროიდან ღემდე და იქ აღმოჩენილი არტეფაქტები. საინტერესო და მნიშვნელოვანია ნამონასტრევის მეათე საუკუნის ეკლესიის ქვაზე წარწერის გაშიფვრა. სწორედაც მეორე საერთაშორისო კონფერენციაზე „აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ცივილიზაციები“ წარვადგინე თემა პროფესორ უჩა ოქროპირიძესთან თანაავტორობით „აკავრეთა-ნამონასტრევის ქვის წარწერისათვის“.

ასევე მინდა გაცნობოთ მეტად სასიამოვნო ინფორმაცია იმასთან დაკავთირები, რომ 2025 წელს სამუშაო ვიზიტად, მივლინებით ვიმყოფებოდი თურქეთის რესპუბლიკაში ძველ არქივში. საიდანაც ჩამოვიტანე უნიკალური მასალები ქედის მუნიციპალიტეტის შესახებ, კერძოდ 1832 წლის ქედის მუნიციპალიტეტის სახელობით ოჯახების აღწერა (მხოლოდ მამაკაცების) და ყოველივე ეს ვთარგმნეთ ქართულად. ამ ყოველივეს მალე მიეცემა წიგნის სახე და გეცნობა ფართო

საზოგადოება. აქვე მინდა ვთქვა რომ ამ საქმეში დიდი თანადგომა და დახმარება გაგვიწია პროფესორმა ოსმალურის უბადლო მცოდნემ ბატონმა ზაზა შაშიკაძემ.

სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა მეტად შრომატევადია მაგრამ ამასთან საინტერესო და საზოგადოებისათვის საჭიროა წარსულის გასაცნობად.